განსახლების გეგმა

ოქტომბერი 2014 წელი

საქართველო: ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა (ტრანში 1)

- მესტიის წყალმომარაგების სათავე ნაგებობების მშენებლობა (დამატება)

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

2011 წლის მესტიის მიწის შესყიდვისა და განსახლების

სამოქმედო გეგმაში შეტანილი

ცვლილება

ოქტომბერი 2014 წელი

ფონური ინფორმაცია:

2011 წელს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ მოამზადა მიწის შესყიდვისა და განსახლების სამოქმედო გეგმა მესტიის წყალმომარაგების და წყალარინების სისტემის გაუმჯობესების პროექტისათვის. პროექტი განხორციელდა აღნიშნული მიწის შესყიდვისა და განსახლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ყველა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი კომპენსირებული იყო, რაც შემდეგ დადასტურდა გარე კონსულტანტის მიერ მოწოდებული შესაბამისობის ანგარიშით.

შესავალი:

2011 წლის მესტიის მიწის შესყიდვისა და განსახლების სამოქმედო გეგმის მიხედვით ერთერთ ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს გელა ნიგურიანს გადაეხადა კომპენსაცია 1895,04 ლარის ოდენობით. სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების დროს მესტიაში, ზარგაშის ტერიტორიაზე მოხდა გელა ნიგურიანის დამატებით სხვა მიწის ნაკვეთის ნაწილის გამოყენება, როგორც მისასვლელ გზად (საკადასტრო კოდი:42.06.13.723). ვინაიდან 2011 წელს მოქალაქე გელა ნიგურიანთან გაფორმებულ კონრაქტს მოქმედების ვადა გაუვიდა, ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა მოითხოვა ხელახალი კონტრაქტის გაფორმება. გელა ნიგურიანმა უარი განაცხადა მიწის ნაკვეთის მთლიან გასხვისებაზე, რის გამოც კომპანიასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირთან გარიგება მოხდა მხოლოდ მიწის ნაკვეთის იმ ნაწილზე, რომელიც გამოყენებული იყო სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების დროს.

შპს„საქართველოს გაერთიანებულმა წყალმომარაგების კომპანიამ“ დაიქირავა დამოუკიდებელი შემფასებელი აღნიშნული მიწის ნაკვეთის შესაფასებლად. მიწის ნაკვეთის სრული ფართობი შეადგენს 2,718კვმ., ხოლო შესასყიდი ფართობი შეადგენს - 572კვმ. შემფასებლის მიერ მოწოდებული დასკვნით 1 კვმ-ის მიწის ფასმა შეადგინა 13 ლარი.

სრულად გელა ნიგურიანის მიწის ნაკვეთის შესასყიდმა ფასმა შეადგინა: 7 436 ლარი, აქედან, 572კვმ X 13 ლარი = 7 436 ლარი.


Reservoir
Undamaged land parcel
Road
Blocaded road